ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3275463

ნომერი: AR1500509

თარიღი : 22.05.2017

გაცემის თარიღი : 15.06.2017

გაცნობის თარიღი : 25.07.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ქალაქ "მზიური"-ს ტერიტორიიდან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გია კლიმიაშვილი პ/ნ 01023001367
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა, N 20ა, ბინა 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სასტუმრო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

2017 წლის 22 მაისის AR1500509 ელექტრონული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი 2017 წლის 12 მაისის AR1495364 ელექტრონული განცხადების საფუძველზე, ქ. თბილისში, ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ქალაქ „მზიური“-ს ტერიტორიაზე (NN01.14.14.005.160) არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხი განიხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ სხდომაზე სადაც გაიცა რეკომენდაციები და შენიშვნები. ვინაიდან, 2017 წლის 22 მაისის AR1500509 განცხადებით არ არის გათვალისწინებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ მოთხოვნები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2017 წლის 22 მაისის AR1500509 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.